საჯარო სამართლის იურიდიული პირი –

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ბრძანება № 01-02/135

23 აგვისტო, 2019 წ. ქ. ბათუმი

**ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე 2019-2020 სასწავლო წლისათვის მიღების გამოცხადებისა და საგამოცდო კომისიების შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ბსუ–ს წესდების მე-14 მუხლის, „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „2019-2020 სასწავლო წელს ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტის განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 აგვისტოს №06-01/100 დადგენილების, „ბსუ-ს რექტორის მოადგილეთა უფლებამოსილების განსაზღვრის შესახებ" ბსუ-ს რექტორის 2017 წლის 6 თებერვლის №01-08/7 ბრძანების, ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის დეკანის ლელა თურმანიძის (MES 7 19 00980254, 23.07. 2019), ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის, მარინა გიორგაძის (MES2 1901032340, 09.08.2019) სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე,

## *ვბრძანებ:*

1. 2019-2020 სასწავლო წლისათვის გამოცხადდეს მიღება ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 აგვისტოს N06-01/99 დადგენილებით განსაზღვრულ ვაკანტურ ადგილებზე **№1 დანართის** შესაბამისად.

2. დოქტორანტობის კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს დოქტორანტურის მიმღებ კომისიაში (შემადგენლობა: ირმა ქერქაძე, ხათუნა გამყრელიძე და თამარ მაჭუტაძე), 2019 წლის 2 სექტემბრიდან 6 სექტემბრის ჩათვლით, 10 საათიდან 17 საათამდე (შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ნინოშვილის ქ. №35, I კორპუსი, ოთახი N19).

3. კანდიდატებმა რეგისტრაციისათვის უნდა წარმოადგინონ შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმა (შევსებული **დანართი №2-ის შესაბამისად);**

ბ) განცხადება (შევსებული **დანართი № 3-ის შესაბამისად);**

გ) მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (2019 წელს კურსდამთავრებულთათვის - - ცნობა აკადემიური ხარისხის მინიჭების თაობაზე, ბსუ-ს კურსდამთავრებულთათვის - ბსუ-ს მიერ დამოწმებული დიპლომის ასლი);

დ) ერთსაფეხურიანი, ხუთწლიანი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრების დამადასტურებელი საბუთი (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული);

ე) პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი;

ვ) 2 ფოტოსურათი ზომით 3X4–ზე და ელექტრონული ვერსია CD დისკზე;

ზ) წვევამდელის სამხედრო-სააღრიცხვო მოწმობის ასლი (ან სამხედრო ბილეთი, ასეთის არსებობის შემთხვევაში);

თ) სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა შევსებული **(დანართი №4-ის შესაბამისად)**

ი) უცხო ქვეყანაში მიღებული განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

კ) სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს შესაბამისი სადოქტორო პროგრამა.

4. დოქტორანტურაში მისაღები გამოცდა ინგლისური ენაში (კონკურსანტს მოეთხოვება არანაკლებ **B2** დონის ცოდნა) ჩატარდეს 2019 წლის 11 სექტემბერს (დაწყების დრო $10^{00}$ საათი), ბსუ-ს საგამოცდო ცენტრში (ტექნოლოგიური ფაკულტეტის კორპუსი, მისამართი - ბათუმი, ფიროსმანის ქ. 12)

4.1. ინგლისური ენის გამოცდის შედეგები გამოცხადდეს 2019 წლის 12 სექტემბერს;

4.2. ინგლისური ენის გამოცდის შედეგზე საპრეტენზიო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2019 წლის 13 სექტემბერს, ბსუ-ს კანცელარიის მიერ;

4.3. საპრეტენზიო განცხადებებს პასუხი გაეცეს 2019 წლის 16 სექტემბერს.

**5.** დოქტორანტურაში მისაღები გამოცდა **სპეციალობაში/გასაუბრება** ჩატარდეს 2019 წლის 17 სექტემბერს (გამოცდის/გასაუბრების დაწყების დრო: $10^{00}$ საათი, გამოცდის ჩატარების ადგილის შესახებ ინფორმაცია განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე, „განცხადებების" ველში):

5.1. გასაუბრების/გამოცდის შედეგები გამოცხადდეს 2019 წლის 18 სექტემბერს;

5.2. საპრეტენზიო განცხადებების მიღება განხორციელდეს 2019 წლის 19 სექტემბერს, ბსუ-ს კანცელარიის მიერ;

5.3. საპრეტენზიო განცხადებებს პასუხი გაეცეს 2019 წლის 20 სექტემბერს.

6. დოქტორანტურაში მისაღებ გამოცდებზე დასასწრებად კონკურსანტმა უნდა იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ან პასპორტი.

7. სპეციალობაში მისაღები გამოცდების/გასაუბრების ჩატარების მიზნით შეიქმნას კომისიები სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით (**დანართი №5-ის შესაბამისად**).

8. ინგლისურ ენაში მისაღები გამოცდების ჩატარების მიზნით შეიქმნას კომისიები (**დანართი №6 შესაბამისად**).

9. დოქტორანტობის კანდიდატთა მიღების პროცედურასთან დაკავშირებით წარმოშობილი პრეტენზიების განხილვის მიზნით შეიქმნას საპრეტენზიო კომისია ( **დანართი №7** შესაბამისად).

10. ამ დადგენილებით შექმნილ მისაღებ, საკონკურსო და საპრეტენზიო კომისიებს ეთხოვოთ „ბსუ-ს დოქტორანტურის დებულების" აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილებისა და წინამდებარე ბრძანების შესაბამისად თავიანთი უფლებამოსილების განხორციელება.

11. ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ ბსუ-ს რექტორის ბრძანება გამოიცეს 2019 წლის 23 სექტემბერს, ფაკულტეტების დეკანების მიერ წარმოდგენილი სამსახურებრივი ბარათების საფუძველზე.

12. დაევალოს კანცელარიას განათავსოს ბრძანება კანცელარიასთან და ფაკულტეტებთან არსებულ საინფორმაციო დაფებზე.

13. დაევალოს სასწავლო პროცესის დეპარტამენტს დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ განცხადების ტექსტის მომზადება და ვებგვერდზე განთავსებისათვის საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის მიწოდება.

14. დაევალოს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანება განათავსოს ბსუ-ს ვებგვერდზე.

15. ამ ბრძანების აღსრულებაზე კონტროლი დაევალოს რექტორის მოადგილეს, ქალბატონ თამარ სირაძეს.

16. წინამდებარე ბრძანება გასაცნობად და აღსასრულებლად დაეგზავნოს ბსუ-ს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს (რექტორის მოადგილეებს, ფაკულტეტებს, სასწავლო პროცესის დეპარტამენტს, სტუდენტთა კარიერული განვითარების, კულტურისა და სპორტის დეპარტამენტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს).

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. № 30.) მისი გამოცემის დღიდან ერთი თვის ვადაში.

18. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორის მოადგილე, თამარ სირაძე

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს
N 01-02/135 ბრძანების

№1 დანართი

ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 19 აგვისტოს N06-01/100 დადგენილებით განსაზღვრული ბსუ-ს სადოქტორო პროგრამებზე მისაღები კონტიგენტი

*ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი*

| სადოქტორო პროგრამების დასახელება | ვაკანტური ადგილების რაოდენობა |
|---|---|
| ისტორია | 2 |
| ლინგვისტიკა | 2 |
| ლიტერატურათმცოდნეობა | 2 |
| არქეოლოგია | 2 |

*ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი*

| სადოქტორო პროგრამების დასახელება | ვაკანტური ადგილების რაოდენობა |
|---|---|
| ფიზიკა | 1 |
| გეომეტრია-ტოპოლოგია | 1 |

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს
N 01-02/135 ბრძანების

№2 დანართი

ბსუ-ს დოქტორანტობის კანდიდატის სააპლიკაციო ფორმა

| 1. კანდიდატის პირადი მონაცემები | |
|---|---|
| სახელი | |
| გვარი | |
| სქესი | |
| დაბადების ადგილი, თარიღი (რიცხვი/თვე/წელი) | |
| ეროვნება | |
| მოქალაქეობა | |
| ოჯახური მდგომარეობა | |
| პირადი ნომერი | |
| ფაქტობრივი მისამართი | |
| რეგისტრაციის მისამართი | |
| ელ-ფოსტა | |
| ტელ. ნომერი (სახლი) | |
| ტელ. ნომერი (სამსახური) | |
| ტელ. ნომერი (მობილური) | |
| დასაქმების სფერო (ორგანიზაციის დასახელების, წლების მითითებით) | |
| სპეციალობა | |
| უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება | |
| სწავლის პერიოდი | |
| მინიჭებული ხარისხი | |
| უცხო ენა | |
| სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა (პუბლიკაცია, კონფერენცია, | |

| | |
|---|---|
| სიმპოზიუმი) | |
| სხვა ინფორმაცია | |

| 2. ფაკულტეტი(გთხოვთ, მიუთითოთ თქვენთვის სასურველი ფაკულტეტი) |
|---|
| 1. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა |
| 2. ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი |

**სადოქტორო პროგრამების ჩამონათვალი**
(გთხოვთ, მიუთითოთ თქვენთვის სასურველი პროგრამა)

| | |
|---|---|
| 1. ისტორია | |
| 2. ლინგვისტიკა | |
| 3. ლიტერატურათმცოდნეობა | |
| 4. არქეოლოგია | |
| 5. ფიზიკა | |
| 6. გეომეტრია-ტოპოლოგია | |

| 3.რეგისტრაციისათვის აუცილებელი დოკუმენტების ჩამონათვალი | | |
|---|---|---|
| 1. | განცხადება | |
| 2. | სააპლიკაციო ფორმა | |
| 3. | მაგისტრის (ან მასთან გათანაბრებული) ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის და დანართის ნოტარიულად დამოწმებული ასლი; ერთსაფეხურიანი, ხუთწლიანი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის მაგისტრის აკადემიურ ხარისხთან გათანაბრების დამადასტურებელი საბუთი (სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული); | |
| 4. | პირადობის მოწმობის (პასპორტის) ასლი; | |
| 5. | 2 ფოტოსურათი ზომით 3X4-ზე და მისი ელექტრონული ვერსია კომპაქტ–დისკზე; | |
| 6. | სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (სამხედრო აღრიცხვას დაქვემდებარებული პირებისათვის). | |
| 7. | სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია დ სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა | |
| 8. | უცხო ქვეყანაში მიღებული განთლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ნოტარიულად დამოწმებული ასლი (ასეთის არსებობის შემთხვევაში); | |
| 9. | სხვა დოკუმენტი, თუ ასეთს ითვალისწინებს შესაბამისი სადოქტორო პროგრამა; | |

ვადასტურებ სააპლიკაციო ფორმაში მოცემული ინფორმაციის სისწორეს.

სახელი და გვარი (სრულად) ................................

ხელმოწერა ..................... თარიღი

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს
N01-02/135 ბრძანების

№3 დანართი

ბსუ-ს რექტორს, ___________________________________

კონკურსანტ ______________________________________

(სახელი, გვარი)

# გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სურვილი მაქვს მონაწილეობა მივიღო ___________________________ ფაკულტეტის სადოქტორო პროგრამაზე

_____________________________________________

სადოქტორო პროგრამის დასახელება

მისაღებ კონკურსში და გთხოვთ მიიღოთ ჩემი მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია.

_________________________ „_____“ „__________________“

ხელმოწერა თარიღი

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს
N 01-02/135 ბრძანების

№4 დანართი

**სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია და სავარაუდო სამეცნიერო ხელმძღვანელის თანხმობა**

დოქტორანტობის კანდიდატის
სახელი,გვარი:
სადოქტორო პროგრამა:-------------------------

სადოქტორო კვლევითი პროექტის მოკლე ანოტაცია (პროექტის დასახელება, კვლევის მიზანი, მოსალოდნელი შედეგები და კვლევის განხორციელების ეტაპები):--------------
----------------------------------------------------------------------------------------------------
----------------------------------------------------------------------------------------------------

**თანხმობა** ზემოაღნიშნული საკვლევი პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე:

სახელი, გვარი და აკადემიური ხარისხი, დაკავებული თანამდებობა ----------------------

ხელმძღვანელობის კანდიდატის მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაცია შესაბამის დარგში (პუბლიკაციის დასახელება და გამოქვეყნების ადგილი) --------------------
------------------------------------------------------------------------------------------;

დოქტორანტობის კანდიდატის ხელმოწერა --------------------------------------

სამეცნიერო ხელმძღვანელობის კანდიდატის ხელმოწერა -----------------------

თარიღი -------------------------

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს
N 01-02/135 ბრძანების

№5 დანართი

2019-2020 სასწავლო წლისათვის დოქტორანტურაში მისაღები კონკურსის საგამოცდო კომისიების შემადგენლობა დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით

| | | |
|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამა „ისტორია“ | | |
| 1. | ასოც. პროფესორი ჯემალ კარალიძე | თავმჯდომარე |
| 2 | პროფესორი კახაბერ სურგულაძე | წევრი |
| 3 | პროფესორი ოთარ გოგოლიშვილი | წევრი |
| 4. | ასოც. პროფესორი ირაკლი ბარამიძე | წევრი |
| 5. | პროფესორი ემზარ მაკარაძე | წევრი |
| 6. | ასოც. პროფესორი ციური ქათამაძე | მდივანი |
| საგანმანათლებლო პროგრამა „ლინგვისტიკა“ | | |
| 1. | პროფესორი მამია ფაღავა | თავმჯდომარე |
| 2. | პროფესორი მარინა აროშიძე | წევრი |
| 4. | პროფესორი მაია ბარამიძე | მდივანი |
| 5. | პროფესორი ირინე გოშხეთელიანი | წევრი |
| 6 | პროფესორი ნანა სტამბოლიშვილი | წევრი |
| 7. | პროფესორი ნატალია სურგულაძე | წევრი |
| საგანმანათლებლო პროგრამა „ლიტერატურათმცოდნეობა“ | | |
| 1. | პროფესორი რამაზ ხალვაში | თავმჯდომარე |
| 2. | პროფესორი მარინე გიორგაძე | წევრი |
| 3 | პროფესორი თინა შიოშვილი | წევრი |
| 4 | პროფესორი შორენა მახაჭაძე | მდივანი |
| 5 | ასოცირებული პროფესორი ინგა შამილიშვილი | წევრი |
| 6. | ასოცირებული პროფესორი ელგუჯა მაკარაძე | წევრი |
| საგანმანათლებლო პროგრამა „არქეოლოგია“ | | |
| 1 | პროფესორი შოთა მამულაძე | თავმჯდომარე |

| | | |
|---|---|---|
| 2 | ასოცირებული პროფესორი მერაბ ხალვაში | წევრი |
| 3 | ასოცირებული პროფესორი ემზარ კახიძე | წევრი |
| 4 | პროფესორი ნანა ხახუტაიშვილი | მდივანი |
| 5 | ემერეტუსი ამირან კახიძე | წევრი |
| | **საგანმანათლებლო პროგრამა „გეომეტრია-ტოპოლოგია“** | |
| 1. | პროფესორი ვლადიმერ ბალაძე | თავმჯდომარე |
| 2. | ასოცირებული პროფესორი ლელა თურმანიძე | წევრი |
| 3. | ასისტენტ პროფესორი რუსლან ცინარიძე | მდივანი |
| | **საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამა “ფიზიკა“** | |
| 1. | პროფესორი ნუგზარ ღომიძე | თავმჯდომარე |
| 2. | ასოცირებული პროფესორი ლალი კალანდაძე | წევრი |
| 3. | ასოცირებული პროფესორი იზოლდა ჯაბნიძე | მდივანი |

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს
N01-02/135 ბრძანების

N6 დანართი

2019-2020 სასწავლო წლისათვის დოქტორანტურაში მისაღები საგამოცდო კომისია
ინგლისურ ენაში

1. ასისტენტ-პროფესორი თათია ნაკაშიძე (თავმჯდომარე);
2. ასისტენტ-პროფესორი თეონა თედორაძე;
3. ასისტენტ-პროფესორი მედეა დიასამიძე;

2019-2020 სასწავლო წლისათვის დოქტორანტურაში მისაღები საგამოცდო კომისია
უცხოურ ენებში ლინგვისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისათვის

*ინგლისური ენა*

1. ასოც. პროფ. ჟუჟუნა გუმბარიძე (თავმჯდომარე);
2. ასოც. პროფ. ზეინაბ გვარიშვილი (მდივანი);
3. ასოც. პროფ. ნათია ქათამაძე;

*გერმანული ენა*

1. პროფ. ნანა სტამბოლიშვილი(თავმჯდომარე);
2. უფროსი მასწავლებელი ანზორ აბუსერიძე (მდივანი);
3. ასოც. პროფ. თეონა ზერიძე;

*ფრანგული ენა*

1. პროფ. ნატალია სურგულაძე(თავმჯდომარე)
2. ასოც. პროფ. ვიქტორია დიასამიძე
3. ასოც. პროფ. მარინა სიორიძე(მდივანი)

ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 23 აგვისტოს

N 01-02/135 ბრძანების

N7 დანართი

2019-2020 სასწავლო წლისათვის დოქტორანტურაში მისაღები გამოცდების შედეგებზე საპრეტენზიო კომისიის შემადგენლობა

*საპრეტენზიო კომისიის თავმჯდომარე - რექტორის მოადგილე, პროფესორი თამარ სირაძე*

| | |
|---|---|
| ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი | 1. ასოც. პროფ. ნანა ქაჯაია<br>2. ასოც. პროფ. ლილე თანდილავა;<br>3. ასოც. პროფ. გურამ ბახტაძე. |
| უცხო ენაში მისაღები გამოცდების (ლინგვისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე) | 1. ასისტ. პროფ. ნათია აბაშიძე;<br>2. ასოც. პროფ. ნინო აროშიძე;<br>3. ასოც.პროფ. ნელი ახვლედიანი; |
| უცხო ენაში მისაღები გამოცდების კომისიები, გარდა ლინგვისტიკის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამისა | 1. ასისტენტ პროფესორი ნინო სამნიძე;<br>2. მოწვეული მასწავლებელი ნათია ხაზეიშვილი;<br>3. უ/მასწავლებელი ნინო გურგენიძე; |
| ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტი | 1. პროფესორი ჟუჟუნა დიასამიძე;<br>2. ასოცირებული პროფესორი ზაურ გამიშიძე;<br>3. ასოცირებული პროფესორი ომარ ნაკაშიძე;<br>4. ასოცირებული პროფესორი ანზორ ბერიძე;<br>5. ასისტენტ-პროფესორი მაია ძაძამია;<br>6. პროფესორი ონისე სურმანიძე; |